ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ივნისი_____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,კა-2"-სათვის
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ---- ივნისის №---------- ------ წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,კა-2"-სათვის (საიდენტიფიკაციო კოდის №412754675) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა №1, ბენზოგასამართი სადგურის სამხრეთით მდებარე გაზონის ნაწილის (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.32.052, ფართობით: 469 კვ.მეტრიდან ნაწილი - 150 კვ.მ) 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" შორის 2024 წლის 11 იანვარს გაფორმებული №26 ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (14/06/2024 წლის №003954824) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ. (ს/კ 03.01.32.052) უძრავი ქონებისათვის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება 20.0 (ოცი) ლარის ოდენობით. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (ფართობი 150კვ.მ) წლიური

სარგებლობის ქირა შეადგენს 3000.00 (სამიათასი) ლარს. 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ განხორციელდეს, ქონების წლიური სარგებლობის ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კა-2"-ის (საიდენტიფიკაციო კოდის №412754675) მიერ სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.32.009) მისასვლელი გზის მოსაწყობად.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კა-2“-სათვის (ს/კ 412754675) სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მიმდინარე წლის 6 ივნისს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, წერილობითი განცხადებით მომართა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კა-2“-ის (ს/კ 412754675) დირექტორმა გიორგი კვიტივაძემ და ითხოვა, ორგანიზაციის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა №2ა, ნაკვეთთან (ს/კ 03.01.32.009) მისასვლელი გზის მოსაწყობად ითხოვა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №03.01.32.052 მიწის ნაკვეთის ნაწილის, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „ე.ე“ ქვეპუნქტისა ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერი, მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს თანხმობით არის უფლებამოსილი, მოახდინოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი ან არაპირდაპირი წესით, პირობებით ან უპირობოდ განკარგვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კა-2“-სათვის (ს/კ 412754675) სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი